



1993
სათაბაათი
16
საქართველო
N 37 (1628)
ფასი 10 კუპონი

საქართველოს
პარტია
ბიზნისობა

მოკლე

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

მიუხედავად სიტუაციისა

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივი, მიუხედავად არასტაბილური სიტუაციისა, ცდილობს თავი გაართვას დაკისრებულ ამოცანებს. ავტოსატრეკტორო პარკის (მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი რაულ ქარჩავა), მექანიკოსებმა ყველაფერი ილაშქრეს მანქანა-დანადგარების კაპიტულურად შეკეთებისათვის. ამჟამად პლანტაციებში დასაქმებულია 20 მე-

ქანიზატორი. მოკრეფილია 1425 ტონა ჩაის მწვანე ფოთლოვანი და ადგილობრივ ექსპერიმენტულ ფაბრიკას მიეწოდა 850 ტონა. კომბინატის კოლექტივს შეუძლია სეზონის დარჩენილ დროში დამატებით მოკრიფოს 1000 ტონა მეთი ნელეული, მაგრამ გააჩნიათ საწვავ-საცხების მხოლოდ სამი დღის მარაგი.

გადაგუგავდა 1050 ტონა

ინგირის ჩაის ფაბრიკამ სეზონის დაწყებიდან მიიღო და გადაამუშავა 1050 ტონა ჩაის მწვანე ფოთლოვანი რეალიზებულია 180 ტონა, რომელიც მიეწოდა ჩაის გადამწონ ფაბრიკას, ექსპერიმენტულ და „ოდიში“ კომბინატებს.

ოღის ინგირის აგროსამრეწველო კომბინატიდან და კოლმეურნეობიდან. ფაბრიკას უმნიშვნელო რაოდენობით აწვდიან ნელეულს შამგონისა და ნაცატუს კოლმეურნეობები. ჩაის მიღება-გადამუშავება გრძელდება.

ფაქტები, მოვლენები, განსჯა

დროზე უნდა მოხსნან

კვლავ გრძელდება მოსახლეობისათვის დეზინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს კანონიერ შეიარაღებულ ძალებს გადაეკტილი ჰქონდეთ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო სამსახური გვაცნობებს, ხდება პირიქით. გზები გადაკეტილი აქვთ ფაქტობრივ ხელისუფლების შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობასაც არ აძლევენ მიმოსვლის საშუალებას.

ბის სუსტი ზუგდიდში იწვნია. ბლოკირებული ფოთიდან აღარ შემოდის აუცილებელი პროდუქტი, მოზახლეობა მოუთმენელ სიღუპურს განიცდის. თუ ამ უკონო ხელისუფლებას ელემენტარული საღი აზრი შერჩენია, თავი უნდა გაანებოს ამდაგვარ ავანტიურისტულ ქმედებას და დროზე მოახდინოს ბლოკირებული მაგისტრალების გახსნა. სხვა შემთხვევაში ალბათ მდგომარეობის გაართულებას უნდა მოველოდეთ.

ჯ. გოგია.

მხოლოდ სიმატილის გზით

ბოლო დღეების სატელევიზიო გადაცემებში გახსნილია იმ აზრის მუსირება, თითქოს სახელმწიფოს მეთაური ყოვლად გაუმართლებელ სირბილეს იჩენს და არ მიმართავს უმკაცრეს, ძალისმიერ ღონისძიებებს სამეგრელოში დესტაბილიზაციის გამოწვევები, „დესტრუქციული ძალების“ მიმართ. გიორგი ჭანტურია, ვალერი კვარაცხელია, რეზო ამაშუკელი და სხვა მათი მსგავსი ორიენტაციის ფსევდოპოლიტიკოსები ამ მხრივ საგანგებო მონდომებას და ინიციატივას იჩენენ. მაგრამ ამდაგვარი დემაგოგიური განცხადებებისა დიდი ხანია აღარ სჩერა ხალხს. საქართველოში ყოველნაირ დესტაბილიზაციას თვითონ ეს ფაქტობრივი ხელისუფლება იწვევს. როგორ შეიძლება კანონის უზენაესობას შიდაწილთ ქვეყანაში, რომლის სათავეში მყოფმა პიროვნებებმა ძალისმიერი მეთოდებით დაამხეს ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება და ამით ფაქტობრივად დააკანონეს ძალადობა, განუყოფლობა, ქაოსი. საქართველოს იხსნის არა დემოკრატია, ათანაირი პროვოკაციული ბრძოლის, არამედ სიმატილის, კანონიერების გზა. ამ გზაზე ყველა კეთილი ნების ადამიანი უნდა გავერთიანდეთ. ნ. რაფაბა.

ინფორმაცია ნომერში

ვიქონიოთ იმედი?

ჩვენი კორესპონდენტი ეწვია წყალ-კანალის სამმართველოს უფროსს ბ. კილასონიას და სთხოვა განემარტა თუ რამ გამოიწვია მოსახლეობისადმი სასამართლო წყლის მიწოდების შეფერხება გრაფიკის დადგენის შემდეგ. აღმოჩნდა რომ მიწვენი კაშხალის დაცლის შედეგად გამოწვეული მიწების დაზიანება, რომელიც ამ დღეებში შეკეთდა. სამმართველოს უფროსის რწმუნებით უკვე სრულყოფილად აღდგენილია რეჩხო-ცხირის წყალსადენი და მოსახლეობას, ყოველგვარი გრაფიკის გარეშე, შეუფერხებლად მიეწოდება წყალი, ვიქონიოთ იმედი?

რას შენგაუის მიხმობით?

ფაქტობრივი ხელისუფლების მესვეურნი, აშკარად შეშინებულინი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, ბოლო დროს გადავიდნენ მოსახლეობის ღია წესით დაშინების პოლიტიკაზე. კეთდება განცხადებები იმის შესახებ, რომ არანაირი მითინგები არ დაიშვება თბილისში. თუ ვინმე შეეცდება მის ჩატარებას, მიღებული იქნება საგანგებო ზომები. რას უნდა ნიშნავდეს ამდაგვარი გამოცხადებები? მხოლოდ ერთ რამეს: უკანონო მთავრობას გამოეცალა ყოველგვარი ნიადაგი საიმისოდ, რომ კანონის შესაბამისად მოქმედების უფლება მისცეს ხალხს. ეტყობა მათ ვერ წარმოუდგენიათ ახლანდელ პირობებში დემოკრატიის განხორციელება. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ვერც სამართალდამცველი ღონისძიებები სორცშესხვა შესაძლებელი. ამდაგვარ ჩიხში მოქცეული ხელისუფლება ვითარების სტაბილიზაციის, საერთოდ ქვეყნის ხსნის რეალური გზების ძიების ნაცვლად ისევ შანტაჟისა და პროვოკაციის მეთოდებს არჩევს. სასაცილოა ნამდვილად, სატირალი ხომ არ იქოს. ბ. პაპაძე.

ჯერ თქვენს სავარკლიდან დაიწყეთ

ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიციძე არაორდინალურ პიროვნებად მესახება. ჯერ ერთი იმის გამო, რომ იგი არაკანონიერი ხელისუფლების მიერ მიცემული დირექტივების ბრმა შემსრულებელია. გამოდის, მისთვის მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, თუ რა დროით შეიცავს სამართლიანობისა და ზნეობის ელემენტებს ესა თუ ის ბრძანება. მთავარია რობოტული სიზუსტით განხორციე-

ლო ნება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთერთ სატელევიზიო გამოსვლაში დავით ზეიციძემ მთელი საქართველოს მოსახლეობა დააანაშაულა შექმნილ პოლიტიკურ კრიზისში. მაგრამ იმის თქმა კი არ გაბედა, თუ რომელი ძალა ახდენს აღნიშნული დაპირისპირების ესკალაციას. ბოლოს ისიც თქვა, მოდი, დავწვათ ეს მალალი სავარკლები და „თათრებივით“ პოლზე

დაესხდეთ“. ამ ლოგიკის მიხედვით პირველ რიგში თქვენ უნდა მისცეთ მაგალითი სხვებს, ბატონო დავით. თქვენც უნდა დაწვათ ის სავარკელი, რომლის დაქარგვის შიშით საკუთარ თვისტომს მიტინგებზე არბევთ, წიხლს ურტყამთ, ნაგაზებს მიუსევთ ხოლმე. აი, ამას თუ იბ.მთ, მაშინ კი დაეჭვება თქვენს სატელევიზიო სენტენციებს. ჯ. თელია.

შეხვედრების პროცესი

პეკუპე ხსნის გზას ამ რამდენიმე დღის წინათ ქობულეთში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს კანონიერი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ წარგზავნილი კომისიის წევრები და ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს უნდადგენდა დიალოგის გზით დარეგულირება მხარეებს შორის არსებული პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირებისა. სამწუხაროდ, დიალოგის მონაწილეებმა სასურველ თანხმობას

ზოგჯერ ინგოკასით

ამ დღეებში ზუგდიდის დრამატული თეატრის შენობამ უმასპინძლა ზუგდიდის დიდძალ საზოგადოებას, რომელსაც შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. მან გააანალიზა მიმდინარე ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური

მოვლენები და თანამემამულეებს

მიანიშნა იმ ორიენტირებზე, რომელთა კვალობაზე საერთო ძალისხმევით უნდა გადაილახოს წარმოქმნილი სიძნელეები. ბატონმა ბ. გუგუშვილმა პასუხი გასცა დარბაზიდან შემოსულ მრავალ შეკითხვას. შეხვედრაზე გაიმართა გულახდილი განხილვა რიგი პრობლემური საკითხებისა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებმა, ისე ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.



სოფელი და მისი საზრუნავი

ისტორია და დღევანდლობა

ჭირთა კლავის მიხედვით

რესპუბლიკაში არსებული დე სტაბილიზაცია აღწევს ყველა კუთხე-კუთხულში. უტრანსპორტობა, ენერგორესურსების კრიზისი, უდიდეს გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეზე. იკრიფება ნაკლები ჩაი, ფერხდება მოვლითი სამუშაოები, ამ რთულ პირობებში ძნელია სოფელში თავი გარდაცვალების წინაშე წამოჭრილ პრობლემებს. მაგრამ იქ, სადაც გრძობენ პაჭუნისმეცხობას და ამ გასაჭირის დროს სანასტევოდ მაინც ქმნიან პროდუქციას, მდგომარეობა შედარებით დადებითია.

ახლადახსოვნი საზოგადოებრივი მეურნეობის მენეჯერ-მშრომლებს დამზადებული აქვთ 500 ტონა ჩის ნედლეული, აქედან შექანაზირებული წესით 150 ტონა. კახათის ჩაის ფაბრიკას კვლავ მიეწოდება ნედლეული. სამი საკრეფი მობილური მანქანა პლანტაციებშია. კრეფა გრძელდება.

როგორც ყველგან, აქაც დღის წესრიგში აქტიურად დგას მოსახლეობის სოციალური დაცვა, შეფერხებებით. მაგრამ მაინც სოფელს მიეწოდება პური;

შერემონტდა საშუალო სკოლის შენობა. 1 სექტემბერს შეიხსნა მიუხედავად 200-ზე მეტი მოსწავლე. შეუწყვეტილ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი. სოფლის მასწავლებლებს, ქალაქიდან მოსიარულე მოსამსახურეებს ემსახურება სპეციალური ავტობუსი.

თავსაჩინო პრობლემებს შორისაა სოფლის მოსახლეობის სატკივარი: ამერიკულმა თეთრმა პეპელამ ბიოლოგიური ომი გამოუცხადა რეგიონს. ასევე აქაც მატლმა დახრა და გაანადგურა ყველა სახის ნარგავი. სოფლის მოსახლეობა მოითხოვს რაიონის ხელმძღვანელებისგან საკუთარ ღონისძიებების გატარებას. ითხოვენ მოამარაგონ შესაქიმოკატებით საგაზაფხულოდ მაინც.

პრობლემებს შორის ისევ ასახელებენ სათბობ-ენერგეტიკული საშუალებების დეფიციტს, თქვიანი გაზის მიუწოდებლობას, რის დროსაც იზოგებოდა ათასობით კუბური მეტრი ხეტყე. დღეს კი იგი ნადგურდება უმოწყალოდ.

მიუხედავად სიძნელეებისა, სოფელი მაინც იკრებს ძალას, იტანს გასაჭირს ქვეყნის სტაბილიზაციის მოლოდინში.

ბ. ანდრიაძე.

გადამთიელი ხალხები განუწყვეტელ ომს აწარმოებდნენ სამეგრელო-ოდიშის წინააღმდეგ. ეს იყო მე-17 საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე მე-19 საუკუნის შუა წლებამდე. იმ დროს ისტორიული საზღვარი აფხაზეთსა და ოდიშს შორის, თანახმად ვახუშტისა (ქართლის ცხოვრების მემატიანე), იწყებოდა ანაკოფიასთან (დღევანდელი ახალი ათონი) და გრძელდებოდა მდინარე ლალიკამდე. მისიონერ ჟენარდენის ცნობით, სამეგრელოს 40 ათასიანი მოსახლეობა ამ ომის შედეგად თითქმის განადგურდა. ვახუშტი წერს: „იყო ჭირი ოდიშს, ვით რცა აღწერეთ უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდნენ ნავეებითა და ხმელით, სტყვიენილიან, დაიყრეს ეგრისის მდიწარემდე და დაეწინებოდნენ თვით აფხაზნი და არა რა იყო დრანდის ეპისკოპოსნი“.

„ოდიშის ჭირი“ არანაკლები იყო ქართლის ჭირზე. ოდიში გაუდაბურდა, საშინლად აოსრ-

და. ეს ომი მიმართული იყო მთელი საქართველოს წინააღმდეგ. დღევანდელი ომიც გაგრძელდება მე-17 საუკუნის 40-იანი წლებში დაწყებული ომისა. სწორედ ამ ინტერესებიდან გამომდინარე აფხაზეთის ლიდერი არჩინა, რომლის მიზანია საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა და ინტერესებიდან გამომდინარე აღადგინოს მთელი საქართველო. ჩრდილოკავკასიელ გადამთელთა შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით სამეგრელოს მთავარმა ლეივანმა ააშენა ე. წ. აფხაზთა კედელი, რომლის სიგრძე 60 ათას ნაბიჯს შეადგენდა. ძალზე დიდი დანახარებით აშენდა ეს თავდაცვითი კედელი. „აფხაზთა კედელი“ იცავდა სოხუმის, ოჩამჩირის, ვალისა და ზუგდიდის ტერიტორიის უზემოსავლიან მიწებს, რომლებსაც მაშინ ოდიში ეწოდებოდა.

ჩრდილოკავკასიელთა მრავალრიცხოვანმა მებრძოლებმა, რომლებსაც წინ აფხაზთა მთავრები

მოუძღოდნენ, დაამარცხეს ოდიში და ჩამოატრეს ყველაზე აყვავებული მიწა-წყალი კელასურიდან მდინარე ენგურამდე. იმდენად ძლიერი იყო მტრის შემოსევა, რომ „აფხაზთა კედელი“ ვეღარ გაუძლო.

ამრიგად, აფხაზთა ანუ აფსუა აფსართა და ჩრდილოკავკასიელთა ქმედება აფხაზეთში წინასწარგანზრახულია და დაგეგმილი. 1992 წელს ჩრდილოკავკასიელთა კონფედერაციის ოლიმპიადამოსამზადებელი იყო აფხაზეთში ომის დაწყებისა ქართული ხალხის წინააღმდეგ. კონფედერაციაში მონაწილეობდნენ როგორც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები აფხაზები და ჩერქეზები, ისე საზღვარგარეთ მცხოვრებნიც.

ქრისტიანულ ქართულ მიწაზე უცხო ძალების ბატონობა უტოლიად დარჩება. ოდიშს ახლავს თავისი გასაჭირი.

ა. ლურჯაია,
პედაგოგი.

დავ, რომ შენი შეწყალების გარეშე კაცი თავის ცოდვებს ვერ გამოისყიდის, რაგინდ სათნოებებით არ უნდა იყოს იგი შეგული და მრავალ კეთილ საქმეს აღასრულებდეს. მეუფეოვლისმყოფელო, მრავალი ცოდვით დამძიმებული ვინაიბე

ჰველმოქმედება

მხიარული უპრადლეგას ვალაგოთა

სანდაშულო, სიმპატიური გარეგნობის მანდილოსანი მორიღებით აღებს კარს. იცის ქალბატონმა ვერა ხარატიშვილმა, რომ აქ, ამ ზღურბლს მიღმა პატარა, თბილი ოთახია და რომ ეს ოთახი უსაზღვროდ კეთილი ხალხის ბინაა.

და არა მარტო ვერა ხარტიშვილი მოდის ქალთა საბჭოში. მოდის სხვა ბევრიც. მოდის ხელმოკლენი, მარტოხელები, მრავალშვილიანი დედები, ავადმყოფნი, ახალშეუღლებულნიც. მოსულნი ითხოვენ ადამიანური უფლებების დაცვას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ითხოვენ წაშალს, პურის ფეკილს ბინას, ჩაქუთული სახურავის შეკეთებას.

ქალთა საბჭოს წევრებიც ყოველნაირად ცდილობენ, რომ ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ გასაჭირი ყველა მთხოვნელს. ჩვენ არა ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია. ხომ შეიძლება, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არც ერთ პარტიულ და უხმაუროდ, უპრეტენზიოდ გააკეთო შენი საქმე. რითაც შეგვიძლია დავხმაროთ დაჩაგრულ თანამემამულეს, ესაა ჩვენი მიზანი. პოლიტიკისაგან შორს ვართ, ვთვლით; რომ ასე ხელბია, ამბობს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან შიქავა. რაოდენ დასანანი, რომ ისეთ ქალაქში, როგორც ზუგდიდი, ია, მხოლოდ ერთადერთი საოცნსორი-ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკა გამოუჩნდა ქალთა საბჭოს რვა თქმა უნდა, ქალთა საბჭოს მიერ გაღებული იმ

მცირე წვლილით სრასახსლბების აგება არავის ძალუძს, მაგრამ მცირედიც ნუგეშია, თანადგომა. თანადგომა მთელ ქალაქს რომ შესძრავ და ავადმყოფი შვილისათვის დედის წამალს მიუტან, ლუკმ: პურის გარეშე დარჩენილს რამდენიმე კილოგრამ ფეკილს რომ მიაწვდის, უბიწაოს თავმსახურს რომ გაუჩენს. ასე მაგალითად: ჯუშის ხილთან შეიარაღებული შეტაკების შედეგად ნუნუ შეროზიას ღია ცის ქვეშ დარჩენილ ოჯახს ათი ათასი მანეთის დახმარება აღმოუჩინეს. მრავალჯერ ქალთა საბჭოს თანამშრომლებს მომზადებული კერძიც მიუტანიათ სახლში დავრდომილთათვის, მრავალჯერ საკუთარი ჯიბებიც მოუჩინებიათ და თავიანთი დანაზოგიც დაუთმიათ ობოლთათვის.

ჩვენი ქალაქის სინამდვილე ბევრი რამის საშუალებას არ იძლევა, არადა იმდენი კეთილი ჩანაფიქრი აქვთ: საქველმოქმედო კონცერტების ჩატარება, ქალთა ნაშუქერების გამოყენება, ავადმყოფთა კლუბი „მარტოების“ დაარსება.

იქნებ ქალთა ასოციაცია „მედევსთან“ თანამშრომლობის გზაც გამოიკვტოს. ეს ურთიერთობა საერთო საქმეს წაადგება. სატკივარიც ხომ საერთო გვაქვს, აღნიშნა საუბარში ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

იქნებ ზუგდიდის საქმიანმა წრეებმაც მეტი უპრადლეგა და გულისხმობა გამოიჩინონ თანქალაქელების მიმართ.

მ. ჯონჯუა.

ქალი სინანულია
ენით აუწერელი კოშმარი დატრიალდა ამ ბოლო წლებში საქართველოში. ქართველმა ქართველის სისხლი დაღვირა.

გავლა მოგვესაჯა. ალბათ ესეცაა ულმოხელმა დრომ, მონობაში გატარებულმა ათწლეულებმა ჩაწიხლა და ჩაკლა ბევრ ქართველს.

შენ ყოველივე უწყი, უფალი

და რახან ნაგისი გატყდა, რახან მაცილის მიერ გონარეული თვისტომის ხელით მომძის გვა მზე დაწვეთებულ სისხლს დანდობის უნარი წართმეული აქვს, ვეღარ ჩერდება სიკვდილის კარუსელი.

ვინ, ან რამ ჩაუღვინთა სულში სიძულვილის შხამი გამოუცდეღ, პირტიტველა ყმაწვილებს? საიდან იღებს სათავეს მათი ასე გავეშება, რატომ დაისადგურა ამდენმა ბოროტულმა ზრახვამ, შხამმა და ლენსოფამ იმ ადამიანებში, რომელთა თვალები ამ რამდენიმე წლის წინათ თვისუფლების წყურვილით ელავდნენ? რა აქვთ გასაყოფი ამ წვრილმან ვნებებს ატანილთ. თანამდებობა, სიმდიდრე, სახელი, მამულის სიყვარული, თუ... კიდევ სხვა რა?

ეს და სხვა კითხვები დღეს აბეზარი ბუზივით ბზუს მძულვარებისა და შურის ბაცილით დანესტრილ საქართველოში. იქნებ დავვიდვა უამრავნი თვის ცოდვილ ქართველებს და უფლის ნებით განსაწმენდელის

ელში ჰეშმარიტი კაცობა და ზნეობა, მოადუნა ქართული სული, შავისა და თეთრის, სიავისა და მადლის გარჩევის უნარი. მაგრამ მოწყალეა უფალი. გადვილის ეს ჯოჯოხეთი, სისხლით და ცრემლით განიბანება ჩვენი ცოდვანი და სამშობლოს ხსულებზე დრაკონის კბილების ნაცვლად ისევ მომრავლდება კეთილი მარცვარი, ამობიზნდება სიყვარულის ჯეჯილი.

... და იმ დროისათვის აქედანვე უნდა ეშვადოს ყოველი ჩვენგანი. ვეშვადოთ წმინდა სანთლების ასანთებად, შემღვრეული ფიქრებისა და ზრახვებისაგან განსაწმენდად, წრფელი ლოცვისა და მონანიებისათვის.

სწორედ ძეშეცდომილთა მონანიე სულის კირთება ილანდება წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის სიტყვებიდან: „გვრძნობ უფალო, შენს განციქვას და არაფრით შემძილითა ვიმართლო. არანაირი სათნოება არ გაბაჩნია და არც სინანული მქონია. ოდესმე. ამიტომ ვერ ვებღავ შენგან შეწყნარება ვითხოვო. იმასაც ვ-

ჩემს დანაშაულს, მაგრამ ვიცი, მხოლოდ სინანულით ვერ გვმართლები. სინანული საკუთარ ცოდვათა შეცნობაა, მათი განბანვა კი მხოლოდ შენს მოწყალეობას შეუძლია“.

დავუფიქრდეთ ამ სიტყვებს, ჩემო თვისტომო, ღმერთს ის შევთხოვოთ, მოგვეცეს ძალა მონანიებისა. უცოდველი ამ მზის ქვეშეთში აღარავინაა. ყოველ ჩვენგანს, მიწიერი ვნებებით ატანილს, არცთუ იშვიათად ფეხს აუბნევს ხოლმე სულში შეზინული ეშმა. მაგრამ ადამის ძის ხსნა და განკურნება მხოლოდ უზენაესს ძალუძს.

ისევ მივაპყროთ ყური სულიერი მამის შეგონებას: „მიწყალობე, ღმერთო! რამეთუ ბატონებს არ ვიმსახურებ, არამედ სამართლად ღირსი რომელი ვქმენ, მომეგების“.

ჩავწვდეთ ამ სიტყვებს, ქართველნი!

ა. ალანია.



შაკვი წელიწადი

(ვრამშენი)

იმ უხსენებელი დღემბერ-იანვრის სამარცხვინო დღეების შემდეგ პირველად მივდივარ დარჩენის პურის საცობში. მანამდე ჩვენს ქუჩაში მანქანა ჩამოვივლიდა, პურს, თითო ცუქლს მანუჩანხევრად, შაქარს, სპონს და სხვა პირველი მოხმარების საქონელს ჩამოგვირიგებდა. ეს იყო, სულ წელიწადნახევრის წინათ, მაგრამ შეშურდათ ხალხის ნათელ გზაზე დადგომა, პირი უტყრეს პარტოკრატებმა, მომენკლატურამ და მაფიამ იმპერიულ ძალებთან ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ. დაიდგრა სამშობლოს დამოუკიდებლობის დამცველთა სისხლი, ნანგრევებად აქციეს დედაქალაქის მშვენიერ რუსთაველის გამზირი. დაიწყო შავი წელიწადი.

მას შერე დარჩენილი პური არ გამოცხვარა. მალაჩები გამოიკეტა. დასავლეთ საქართველოში გამოლაშქრებისთანავე სუნტის, დამსჯელობა გადააქარბეს ალიხანოვის ეგზეკუციასაც. მათ ერთი სახლი დაწვეს დარჩენილი; მხედრობმა ჭუმის ხიდან ახალგაზრდა გვარდიელი დაცხრილა.

არ უნდა გაგრძელდეს ეს შავი წელიწადი!

თუ შენარმა ნება მომცა,

„შავი წელიწადის“ მერე „ქართული გაზაფხული“ უნდა დაეწერო. ამით დასრულდება „ერთი სიცოცხლე“... ღმერთო, „მომეც ძალი და შეწვენა“, რათა მათქმევინო სიმართლე იმ მუღიშვილებზე, რომელთა გვერდით მივლია ენგურთან ელბამდე, ვარშავის იატაკქვეშეთში და კრკონოშეს ტყეებში. მათქმევინო იმ თვალცისკარა გოგობიებზე, რომელთაც ჩავაღონეთ ლელთ ღუნის დაუვიწყარი სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეჭიდებოდა“... და რომელთაც თავიანთი სათქმელი თქვეს ცხრა მარტსა და 9 აპრილს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, კანონიერი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში...

ამ ფიქრებით მივადექი პურსაცხობს. ხალხი კარებსა და ფანჯრებს მოაწყდა. რამდენიმე მოხუცი შორიდან ვუცქერით, ვერ ვხედავთ ახლო მისვლას.

—არ გრცხვენიათ? სინდის-ნამუსი დაკარგეთ? ნახეთ, თქვენს უკან ვინ დგანა!— მიმართა მათ ეროვნული გვარდის ოფიცერი თამაზ ხუფენიამ და ვადაგვეხვია, მოგვიკითხა.

—არაა ვასაკვირი. ზნეობაც კუპონივით გაუფასურდა! — შეუპასუხა რიგითი გვარდიელი კუქური შელია და ხელგამოწვილილი ჩვენსკენ გამოეშურა.

თანაზოფლებმა კითხვები დააყარეს სენაკის, აბაშის და სხვა რაიონების გარშემო. ისინი ერთი დღით ჩამოსულან ვახტანგ ქობალაის შენაერთებიდან. რამდენიმე საათით მოინახულეს ოჯახები. ჩვენ კი ასეთი რამ გვითხრეს:

—სენაკელები და აბაშელები, სადაც ჩვენი ნაწილი იყოფება, თავს გვევლებიან. უკანასკნელ ლუკმასაც გვიყოფენ. ჩვენი მუშაობელი ქალებიც დაემოწმებია... საით წაგვიყვანათ, გვეკითხებოდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსული ტელეურნალისტები. მიუხედავად მათი გაოცებისა, ჩვენ მათ ნება დავართეთ წასულიყვნენ და დაკითხვით სადაც უნდოდნენ და ვინც სურდათ. მაგრამ მათს მიერ გადაღებულ ვიდეო მასალებს ტელეკრანთან ხილვა არ უწერია, თუ სიმართლეს ასახავს. სიმართლის გზით არ მოსულან ხელისუფლების სათავეში და სიმართლე არ აწყობთ!

ბედნიერია მშობელი და აღმზრდელი, ვისაც თამაზის, კუქურის, ანზორ ჩხეიძის და მერაბ ნანავას ნაირი სამართლიანობის დამცველი ჯარისკაცები აღუზრდია.

ანტონ არანია.
სოფ. დარჩელი.

ფრთხილად, გუზას ნუ ეპაკლუხებით

ამასწინათ ტელევიზიაში სპეციალური გადაცემა მიეძღვნა პოეტ ანზორ სალუქიძეს. ამ წერილის ავტორისთვის ცნობილი არ იყო ბატონი ანზორის პოლიტიკური მრწამსი. ამდენად თავიდანვე ყური ვცქვიტეთ, რათა მკითხველისთვის ასეთივე ცნობილი ლირიკოსის ახალი ლექსების არომარტი შეგვეგრძნო. ვერ ვიტყვით იმას, რომ ამ ლექსების ავტორს ლიტერატურული გემოვნება ლალატობდეს, სათქმელის მკითხველამდე საინტერესო ფორმით მიტანა ეძინებოდა. მაგრამ სამწუხაროა და დასანანი ისაა, რომ მის გამოსვლაში გაქრდა ეგრეთწოდებული ინტელექტუალური ელიტისთვის ჩვეული ირონიული ინტონაცია. ავტორს აშკარად ეტყობა „ნაღი თბილისელობის“ სინდრომი, რომელიც წმინდა ქართლის, ეროვნულსადაც ერთგვარი ნილისტური დამოკიდებულებით ფიქსირდება ხოლმე. ავტორმა საკმაოდ მეტი დროით გადმოიხილა ეკრანიდან შხამი და გესლი კანონიერი ხელისუფლების მიმართ. მოახდინა იმ

წმიდა ცნებების და ღირებულებების ურცხვად დისკრედიტირება, რომლის დასაცავად დღეს ასე ერთსულოვნად აღმდგარია ქვეყნის ქართველობა.

ჰულის სწავლებას არ ვაკადრებთ პოეტს, მაგრამ ერთს კი ვურჩევთ: როცა რეალობის განცლა ასე ლალატობს, საერთოდ მოერიდოს პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას, თორემ ნამეტან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. სხვას რომ თავი გაავანებოთ, მკითხველთა ფართო ფენების მოტყუებას ვერაფრით შეძლებს. არა საკუთარ პოეტურ ხილვებთან თვითმიზნური ლაცივი, არა ნარცისული თვითტაბობა აღამალებს შემოქმედს ხალხის თვალში, არამედ თვით ხალხის წილშივე მფეთქავი სულსიკვეთების მიყურადება, მისივე ცხოვრებით ცხოვრება.

პარადოქსულია რომ ამ ელემენტარულ ქვეყნარტებას იგივეყებენ ხოლმე ცალკეული ავტორები „ელიტარული ინტელიგენციის ამქრიდან“.

ნ. ზონია.

ვიცინოთ თუ ვიჭიროთ?

რომ სექტემბერია, ანუ ის ქამი, როცა წინაპართა რჩევას თუ მივხდით, კურდღლისა და თხის ხორცი უნდა მივირთვათ, ხანდახან ბატის ჩიჩისაც გემო გავუსინჯოთ, არც ტკბილეულის ჰამაზეც ვთქვათ უარი. მაგრამ, ო, ეს მაგრამ!

აბა რა იცოდა წამალივით სასარგებლო ამ რჩევა-დარიგების ავტორმა, რომ გაივლიდა დრო და მეოცე საუკუნის მიწურულს ქართველი კაცი კურდღელს მხოლოდ ზოთარკსა და

ლობიდან გამომდინარე? არ ვიცი თქვენ როგორ, მე კი დაახლოებით ასე ვურჩევდი თანამედროვეს: „სექტემბრის თვეში სიცხე საამური ხდება, სიყვარული აქაიქ ძლიერდება, ავადმყოფობა და სიკვდილიანობა კლებულობს. ტკბილეულის ჰამა არ ვარგა. ვინაიდან კბილებს აფუჭებს, ხოლო სუნელების ცხება სულაც უსარგებლო რამ არის. საკმეული ამ თვეში უნდა იყოს ზომიერი და მორიდებული; კერ-

„ჭყონდილის“ ეს ნომერიც საინტერესოა

მკითხველს მიეწოდა სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდილის“ პერიოდული გაზეთი „ჭყონდილი“. მასში გამოქვეყნებულია არაერთი საინტერესო წერილი. ავტორებს შორის შეხვდებით ცნობილ მწერლებს: ირინა ტალიაშვილს, გურამ პეტრიაშვილს, საკმაოდ პოპულარულ კალმონებს ლევან ურუშაძეს, ვია ჩუთლაშვილს, საქართველოს სახალხო არტიტს ელენე საყვარელიძეს და სხვებს. სხვადასხვა თანხის და სტილის ამ წერილებს აერთიანებს საქართველოს სიყვარული, ეროვნული თავისუფლებისადმი ერთგულება, სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია.

მკითხველი ალბათ ინტერესით გაეცნობა ლევან ურუშაძის ვრცელ პუბლიკაციას სათაურით: „კავკასიის ხალხთა ერთობის საკითხის ისტორიისათვის“, რომელშიაც პრობლემის ღრმა ქცონით და პროგნოზის ქუტყუარი ალღოთი გაშუქებულია კავკასიის მონათესავე ხალხების წარსული ერთობლივი ბრძოლების ისტორია, აგრეთვე დღევანდელ ეტაპზე იბერიულ-კავკასიური მოძრაობის როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული

ასპექტები.

მისთვის ჩვეული გულწრფელობით, სადა სტილით, ყოველ პასაჟში ლალი ეროვნული სულის გამჟღავნებით წარსდება მკითხველთა წინაშე მწერალი გურამ პეტრიაშვილი. შეუძლებელია არ გაიზიარო ავტორის ფსიქოლოგიური დაკვირვებები და ანალიზი ხიდრატეხილობის, საერთოდ ქართული ცნობიერების რღვევის პროცესზე ჩვენს სინამდვილეში. ილია ქავჭავაძის უბადლო შემოქმედების და დღევანდელი ცალკეული რეჟიების მიმოხილვით ბატონი გურამი დამაჯერებლად გვაჩვენებს იმ ადამიანთა პიროვნულ ტრაგედიას, რომლებიც მოწყდნენ თავის ერს. ერთგან მწერალი ასეთ შეხედულებებს გვთავაზობს: „ჩატეხილი ხიდის აქეთ-იქით თავად-აზნაურობა და გლეხობა არა დგას. აქ დაპირისპირება სულ სხვანაირია, ერთ მხარეს არის ქართველი ერი, მეორე მხარეს კი „ცოდნით თავმოყმუნე კეხოები“.

აღნიშნული და სხვა წერილების გაცნობით მკითხველი უცილოდ მიიღებს მსხვერპლურ სიამოვნებას.

ჯ. თელია

ღმერთმა სასუფეველში აწყობოს ჩვენი ბრძენკაცი წინაპრების სული. მათი კეთილი ფიქრი და გარჯილობა, რჩევა-დარიგება აქამდე მოგვდევს და გვმოდერავს, დალოცვილებმა, აქაოლა ფიზიკურად ძლიერი და

ასეთი ახსოვრებ...

ქანსალი თაობები დაგვჩნისო, ისიც წვრილ-წვრილად ჩამოგვიმარცვლეს—წელიწადის რომელ თვეს რა გვესვა, რა გვექამა, რას მოვირიდებოდი, როგორი წესით გვეცხოვრა და ა. შ.

მაგალითად, „ეფრემ-ვერდის“ მიხედვით სექტემბრის თვეში სიცხე საამური ხდება, სიყვარული ძლიერდება, ავადმყოფობა კლებულობს და „თუნდ ტკბილეულის ჰამა, თუნდაც სუნელების ცხება სასარგებლოა. საკმეული ამ თვისანი უნდა იყვნენ ზომიერად და მორიდებული კურდღლისა და თხის ხორცისაგან, აგრეთვე ბუჭისაგან და არც თუ მოხშირება აბნოში წასვლისას“.

ახლა კალენდრით სწორედ როგორც არასდროს, ისე უჭირს ახლა ჩვენს ბუნებას. გარემოს გაბინძურებამ ზღვარს მიადწია. გაჭუქყიანებულია შერი, წყალი, რაც ბუნებისადმი უგუნურმა დამოკიდებულებამ მოგვიტანა.

ბუნება სამართლიანია— თუ დაიცავ, დაგიცავს. მისი გადარჩენა ჩვენს ხელთაა, ამისათვის ყველა უნდა გავერთიანდეთ, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ

მულტფილმებში მოპკრავდა თვალს, ტკბილეულს ზოგჯერ მხოლოდ ბედის ნებებინი იგემებდნენ, ხოლო თხისა თუ ბატის ხორცი ვარსკვლავით შორეული და მიუწვდომელი იქნებოდა ადამიანებისათვის; არა, ყოველივე ამას, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თორემ შეგვიცოდებდა და არ დაგვიწერდა— ესა და ეს მიირთვით, ასე და ამგვარად მოიქეცითო.

მოდით, ახლა რამდენიმე წუთით ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ „ეფრემ-ვერდის“ შემოსვენებული სამოძღვრო რჩევის ავტორის როლში, ანუ როგორი იქნებოდა ამ რჩევა-დარიგების თანამედროვე ვარიანტი ჩვენი ცხოვრებისეული რეა-

ძილ, არ ჰამოთ არანაირი ხორცი, თევზელი, არც რძის ნაწარმი, კარაქი, შაქარი და კვერცხი ჯანმრთელობისათვის მავნებელია. სამ-თხს დღეში იმყოფინეთ მხოლოდ ორასი გრამი პური. დილით მიირთვით პამიდურის სალათა და უშაქრო ჩაი, შუადღეზე ისევ პამიდურის სალათა, ხოლო საღამოს უშაქრო ჩაი და პამიდურის სალათა. ნუ წახვალთ აბანოში— ის მინც არ მუშაობს“.

რას იზამ, ასეთია ცხოვრება; მიუთმეტეს, ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანთა ბედის ეტლს უკანონობა მართავს.

ჯ. არანია.

ერთად ვიზრუნოთ

კარს მომდგარი კატასტროფის ასაცილებლად გარემოს დაცვის აქტუალურ, მტკიცეულ საკითხებზე უნდა იზრუნოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კომპეტენტურმა ორგანოებმა, არადა ბუნება საფრთხეშია, საჭიროა ერთიანი ფრონტით მიზანსწრაფული მოქმედება, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ყველას თვალწინ, საკულმეუ-

რნო ბაზრის ტერიტორიაზე გამოავთ უნებართვოდ მოკრილი შეშა. მძღოლები კი ოლიმპიური სიმშვიდით ასახელებენ კოლოხალურ ფასს.

შეიძლება ყველამ მხარი არ დამიკიროს ნათქვამში, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ძალა ერთობაშია. ყველამ ერთად ქვეყნარტი გულშემატკივრობა გავუწიოთ ბუნებას.

ბ. ანდრიძე,



საქართველო საპარლამენტო მუშაობა თეორიული კვლევა

ამერიკული თეორიული კვლევა... დიდი საპარლამენტო მუშაობა... 200-ზე მეტი სახის მერქნოვანი...

ბლად კარგ შედეგს იძლევა... აღნიშნული ბუდეების შეგროვება... აღნიშნული მუშაობის შედეგად...

წამლობა ქლოროფოსის 0,3 პროცენტით... აღნიშნული მუშაობის შედეგად... აღნიშნული მუშაობის შედეგად...

სექტემბრის თვემ ჩვენს თვალმხარა გოგონებსა და ბიჭუნებს ბევრი სიხარული მოჰგვარა...

საქართველო საპარლამენტო მუშაობა თეორიული კვლევა... აღნიშნული მუშაობის შედეგად...

მედიკამენტოზი

ჩვენი გაზეთის რედაქციის კოლექტივი მადლობას უხდის ს.მეგრელიძის რეგიონის ადგილობრივი ფონდის ხელმძღვანელობას...

ბრძოლის კვირის აღნიშვნა

ამერიკული თეორიული კვლევა... აღნიშნული მუშაობის შედეგად...

რომელი საათია?

ძალიან გამიხარდა, როცა ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ელექტროსაათები დაამონტაჟეს...

მომავლის გახსენება

დაუვიწყარი კამლატი

1993 წლის ქართულ კალენდარში 20 ივნისით დათარიღებულ ფურცელზე რამდენიმე სიტყვით მინიშნებულია: 65 წლის წინათ დაიბადა მამლუქი გონაშვილი...

საქართველო საპარლამენტო მუშაობა თეორიული კვლევა

ბა, გამორჩეული ვოკალური და სცენური მონაცემები. მეტად მდიდარი რეპერტუარი, განსაკუთრებით ქართულ-ხალხური და ქალაქური ფოლკლორის სფეროში...

წუგდიდური მოზაიკა

„გადავიწყეთ, უკან თანამშრომლობა“

წვიმა თუ თოვდა, დარი თქვა თუ ავდარა, გათქმული არ იყო, გაუფრთხილებით თემშარას. მივდიოდით ძველებური ორთვიანი საზიდრებით...

უკან თანამშრომლობა

უკან თანამშრომლობა... აღნიშნული მუშაობის შედეგად...

მს სინტერესოა

ველური პარლი

ასპილს ველურ ვარდს უწოდებენ. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ მისი ყვავილის ფურცლები საგან შეიძლება მომზადდეს მურაბა და სუნამო...

10 დღის შემდეგ გადაწურეთ, ნუშის ნაჭრები კი ნამცხვრებში გამოიყენეთ.

შვილები: ლამარა, ლია შამუგები, სიძეები: რეზო გვილია, ელგუჯა ჩიხლაძე, მამა ვასო ქირია, შვილასწავლებლები: მედეა, მამუკა გვილიები, ნინო, ხათუნა ჩიხლაძეები, შვილთაშვილები: ლევანი, მიშკო, სალომე, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან...

სარედაქციო კოლეგია

ლედა ნანი, მამა ქორეი, ბები ეთერი, მეუღლე მარინა, და მარინა, მამა რამაზი, მამიდები: დინარა ჯოჯუა, ლეიზა და ფირუზა ყუფუნები, ბიძები: დურუ ჯოჯუა, ტატაჩი, ზონდო, იროდი სოქინავები, ბიცოლები: მედიკო, ნელი, ლარისა, ლილი, მამი-ლაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მურთაზ უორტის ძე ჯოჯუა. პანაშვიდი 16, 17 სექტემბერს. დეკრძალვა 18 სექტემბერს, შაბათს, 5 საათზე. სოფ. ახალ-სოფელი (ზუგდიდის რაიონი) ბარათშვილის ქ. №18.